არასრულწლოვანის საკუთრების განკარგვის სამართლებრივი ასპექტები: ქართული და გერმანული კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ლიკა გვასალია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო(ბიზნეს) სამართლის ფაკლუტეტზე, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ქოჩიაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა გვასალია

23.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი გერმანული და ქართული კანონმდებლობების შედარებითსამართლებრივი ანალიზის მეთოდით იკვლევს ქართულ სამართალში არასრულწლოვანის ქონების განკარგვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს. კვლევის ფარგლებში, პასუხია გაცემული კითხვებზე არასრულწლოვანთა საკუთრების განკარგვის მარეგულირებელი კანონმდებლობის თეორიასა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების შესახებ.

კვლევაში სამართლებრივი ლიტერატურის დამუშავებით გამოკვეთილია არასრულწლოვანის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მარეგულირებელი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის ბუნდოვანება და არასრულყოფილება. ხსენებულ პრობლემას ამწვავებს სასამართლოების მიერ ნორმის განსხვავებულად ინტერპრეტაცია და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომი წარმოაჩენს იმ საკითხებს, რომლებიც დეტალურ რეგულირებას საჭიროებენ.

ნაშრომში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვანის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით სასამართლოში დარეგისტრირებული განცხადებისა და მისი სამართლებრივი ბედის შესახებ. დავის გადასაჭრელად ნაშრომში შემოთავაზებულია ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებები. ნაშრომის ბოლო ნაწილში საუბარია იმ რეკომენდაციებსა და დასკვნებზე, რომლებიც კვლევის პროცესში წარმოიშვა.

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანი, კანონიერი წარმომადგენელი, ქონებრივი სარგებელი, სასამართლოს თანხმობა, უძრავი და მოძრავი ქონება.

Abstract

This master's thesis employs a comparative legal analysis of German and Georgian legislation to identify and assess the gaps in Georgian law concerning regulatory norms related to the disposal of minors' property. The study addresses both theoretical and practical challenges associated with the legal framework governing such disposals.

Through an examination of legal literature, the research highlights the ambiguity and shortcomings of existing regulatory norms, as well as the inconsistencies in judicial practice. These issues are further compounded by divergent interpretations of the relevant norms by the courts, resulting in a fragmented and heterogeneous body of case law. Accordingly, the thesis outlines specific areas in need of clearer and more comprehensive regulation.

The study also presents statistical data on court applications concerning the disposal of minors' property and analyzes their legal outcomes. To contribute to the resolution of these disputes, the paper reviews selected national court decisions. The final section offers recommendations and conclusions derived from the research findings.

Key words: Juvenile, Legal representative, Property benefit, Court approval, Real estate and movable property.